

დღე

№294 17 დეკემბერი ორშაბათი 2007
 (12 364) გამომდის 1934 წლიდან

ფასი
 50 თეთრი



ტიმ ლეინი თბილისში

ნუგზარ სუარიძის ფოტო

ქახა ქალაქი მსოფლიო ჩემპიონია

ყველაზე ტიტულოვანმა ქართველმა ფეხბურთელმა კახა კალაძემ საკუთარ კოლექციას კიდევ ერთი - მსოფლიო საკლუბო ჩემპიონის წოდება მიამატა. საქართველოს ნაკრების კაპიტანი წლულს ერთბაშად სამ უდიდესი ტურნირის - ევროპის ჩემპიონთა ლიგის, სუპერთასის და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა. მილნმა ფინალურ მატჩში 4:2 დაამარცხა არგენტინული „ბოკა ხუნიორსი“ და ოთხი წლის წინანდელი მარცხისთვის რევანში აიღო. კალაძე კი მატჩის 77-ე წუთზე ლეანდრო გრაციანის წინააღმდეგ უხეში თამაშისთვის გააძევეს, თუმცა ამ დროისთვის მატჩის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო - იტალიელები 4:1 იგებდნენ.



ინტარვიუ

2

სამ კვირაში გადაწყდება

გახდება თუ არა ტიმ ლეინი საქართველოს ნაკრების მწვრთნელი? ყველაფერი მოლაპარაკებაზეა დამოკიდებული - ცალკე რაგბის კავშირთან, ცალკე ცოლ-შვილთან. გასათვალისწინებელია საპრაზიკინტო არჩევნების შედეგიც...

ავსტრალიელი მწვრთნელი ტიმ ლეინი საქართველოში სამდღიანი ვიზიტით გვეწვია. მიზანი საქართველოს რაგბის კავშირის ხელმძღვანელობასთან წინასწარი მოლაპარაკებების გამართვაა, რაც შესაძლოა ახლო მომავალში კონტრაქტის გაფორმებითა და მისი ბორჯღალოსანთა მწვრთნელად დანიშნვით დასრულდეს. ლეინს გუმინ, „შეყარდენის“ სტადიონზე ვესაუბრეთ.

- თბილისში საქართველოს რაგბის კავშირის მონვევით ჩამოვედი. ამჯერად ჩემი ვიზიტის მიზანია ადგილზე გავეცნო ვითარებას. საინტერესოა, რამდენად განვითარებულია ინფრასტრუქტურა, რა დონისაა რაგბის კავშირის მენეჯმენტი. ყოველივე ამის გათვალისწინებით შევიძლება გვეგმას გენერალური მოლაპარაკების წინ, ანუ იმ დროისთვის, როცა საქმე უშუალოდ ხელშეკრულების გაფორმებაზე მიდგება.

11

ზაზა ღუბლით დაბრუნდა



„ატლანტა ჰოქსის“ ქართველი ცენტრი ზაზა ფაჩულა ტენის შერყევის ნიშნების გამო კვირანახევარი ისვენებდა და 5 მატჩი გაუცდა. იგი მოედანს „დეტროიტთან“ მატჩში დაუბრუნდა და სეზონის პირველი ორმაგი დაბლი გაიფორმა - 10 ქულას 11 მოხსნა დაუმატა. მართალია იმ შეხვედრაში „ატლანტამ“ ძლიერ მეტოქესთან ვერაფერი გაანყო, მაგრამ მომდევნო შეხვედრაში „შარლოტს“ უმასპინძლა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ „ბობქეტსზე“ მეტად იმსახურებს ფლეი ოფში ვასვლას - თანადივიზიონელი მეტოქე 93:84 დაამარცხა.

ჩვენ კი იმედი დავიტოვოთ, რომ უახლოეს მატჩში „ჰოქსის“ გამარჯვება ზაზას ორმაგი დუბლს დაემთხვევა. „ატლანტა“ მორიგ შეხვედრაში „ოუტას“ უმასპინძლებს. თამაში დღეს გაიმართება.

ვახტანგ ტყეშელაშვილი

დეტროიტი-ატლანტა 91:81

21:16, 26:17, 17:20, 27:28
 დეტროიტი: ბილასი (23ქ), პამილტონი (18ქ, 43), მაკდონალდი (5ქ, 148), პრინსი (17ქ, 108), უოლასი (4ქ), მაქსველი (10ქ, 88), აფლალი (2ქ), პეიესი (8ქ), პანტერი (2ქ), ა. ჯონსონი (2ქ)
 ატლანტა: ე. ჯონსონი (8ქ, 33), ვ. ჯონსონი (23ქ), ვ. სმიტი (14ქ, 98), მ. უილიამსი (15ქ), რაითი (6ქ, 128), უესტი (1ქ), ზაზა ფაჩულა (22 წუთი, 10 ქულა, 11 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 შეცდომა, 4 ფოლი), ლოუ (4ქ), შ. უილიამსი, სტაუდმეირი

ატლანტა-შარლოტი 93:84

23:22, 26:19, 25:18, 19:25
 ატლანტა: ე. ჯონსონი (11ქ, 73), ვ. ჯონსონი (31ქ, 63), ვ. სმიტი (19ქ, 108, 63), უესტი (1ქ), პორფორდი (6ქ), მ. უილიამსი (20ქ), ზაზა ფაჩულა (16 წუთი, 5 ქულა, 1 მოხსნა, 1 პასი, 1 შეცდომა, 1 ფოლი), შ. უილიამსი, რაითი
 შარლოტი: ფელტონი (15ქ, 53), რიჩარდსონი (11), ოკაფორი (14ქ, 148), ვ. უოლასი (24ქ), დადლი (7ქ), მაკინსი (3ქ), მოჰამედი (6ქ), კაროლი (4ქ)

დეტროიტი-ატლანტა



**პირდაპირ ეთერში
 ტოპიოლარტან
 ან ახალკასთან**
 ზურაბ ხიზანიშვილი
 სათქმელს სახალსოდ იტყვის

საკრძული საინფორმაციო სანაბრი
272-272
 ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ



www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგინოთ კომპანია ყაზბეგი



www.pfl.ge



ინტერვიუ კახა კალაძესთან

კალაძე უფასო ფიფასთან სისხლს მიუზღავს

ახლა უფრო მეტად მიხდა ნაკრებთან ერთად მსოფლიო ჩემპიონატზე ვითარება

“მილანი” პირველი ევროპული გუნდი გახდა, რომელმაც მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატის ტიტული მოიპოვა. საქართველოს ნაკრების კაპიტანი სასტარტო შემადგენლობაში იყო, მაგრამ მატჩი არ ჩაუმთავრებია - 77-ე წუთზე მოედნიდან გადაეხვეს. მსოფლიო ჩემპიონს გუშინ იაპონიაში დაუუკავშირდით.

- პირველ რიგში გილოცავთ ამ გამარჯვებას...
- მადლობა მოლოცვებისთვის. ამ გამარჯვებას მეც ყველას ვულოცავ. კარგად ვიცი, იტალიაში, საქართველოში, უკრაინასა და სხვა ქვეყნებში “მილანს” მილიონობით გულშემატკივარი ჰყავს და ყველას ვულოცავ ამ ტრიუმფს. ამ გამარჯვებას კი მთელ საქართველოს ვუძღვნი.
- უშუალოდ თამაშზე რას გვეტყვით?
- მართალია დამაჯერებლად მოვი-

გეთ, მაგრამ როგორც ყველა ფინალი, ესეც დაძაბული იყო. “ბოკა ხუნიორსი” ყველა კომპონენტში დავჯაბნეთ. ამ მატჩისთვის ჩვენი გუნდი მთელი სერიოზულობით ემზადებოდა და ბედნიერები ვართ, რომ ჩვენი შრომა დაფასდა.

- როგორც ჩანს ზეიმი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა...

- ჯერ კიდევ იაპონიაში ვართ. აქ ჩვენი ფანები ახლაც ხარობენ. ალბათ ტელეფონში გესმით ურიაშულის ხმა. ხვალ იტალიაში მიფურინავთ და მილანის აეროპორტშიც მილიონობით გულშემატკივარი დაგხვდება...

- მართალია გამარჯვებულს არ ასამართლებენ, მაგრამ გაძევებაზეც გაძევებაზეც მიხდა გვითხრთ...

- მართალი ვითხრათ გაძევებას ნამდვილად არ ვიმსახურებდი. თუმცა არბიტრი ასე ვთქვათ “აჭრილი” იყო, თანაც უკვე 4:1-ს ვიკვებდით და ჩემი გაძევებით გარკვეული ფორა მისცა “ბოკა ხუნიორსს”. არბიტრმა ერთი არგენტი-

ნელიც გადაეხვია. სიმართლე ითქვას არც ის იმსახურებდა ნითელ ბარათს.

- “მილანი” პირველი ევროპული გუნდია, რომელმაც ეს ტიტული მოიპოვა...

- დიას, ახლა უკვე ყველაზე ტიტულოვანი კლუბი ვართ მსოფლიოში. უბედნიერესი კაცი ვარ. იცით ახლა რა მიხდა ყველაზე ძალიან? საქართველოს ნაკრებთან ერთად ვითამაშო 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე. იმედი მაქვს ამას შევძლებთ კიდევ. თავისთავად საკლუბო ტიტული ბევრს ნიშნავს, მაგრამ ნაკრებთან ერთად მსოფლიოს საუკეთესო გუნდებთან რომ მოხვდები, ეს ძალიან სასიამოვნოა ყველა ფეხბურთელისთვის.

- ცოტა ხნის წინათ თქვენმა გვარსახელმა “ლივერპულთან” მიმართებაში კიდევ ერთხელ გაიჟღერა. რეალურად რა ხდება, ტოვებთ მილანს და ინგლისში გადაბარდებით, თუ...
- ზამთრისა და ზაფხულის პაუზისას მსგავსი სპეკულაციები ყოველთვისაა. შესაძლოა “ლივერპული” მართლა სერიოზულად დაინტერესებული ჩემი დამატებით. მოხარული ვარ, რომ ასეთი ტიტულოვანი კლუბი და გამოცდილი მწვრთნელი დაინტერესებული ჩემი სამსახურით, მაგრამ “მილანიდან” არ მივედივარ. კლუბთან 2011 წელს მიმთავრდება კონტრაქტი და არც იმას გამოვიტყვებ კიდევ გადაგრძელო ხელშეკრულება.

- კახა როგორც გავიგეთ საკუთარ ბანკს ხსნით საქართველოში...

- ეს გეგმაში მაქვს, მაგრამ უახლოეს მომავალში არა.

- განაცხადი უკვე შეგიტანიათ საბანკო საქმიანობის ლიცენზიაზე...

- დიას, შეგიტანე, მაგრამ პასუხი ასე მალე არ იქნება. საერთოდ კი ეს მხოლოდ ბანკი არ იქნება. გრანდიოზული გეგმა მაქვს და ძალიან მიხდა განვახორციელო. ამით მნიშვნელოვნად დავეხმარები საქართველოსა და ქართველებს.

- იქნებ კონკრეტულად გვიხსრათ ამ გეგმის შესახებ...

- ეს არ იქნება მხოლოდ ბანკი. ეს იქნება საქველმოქმედო ფონდი, რომელიც ქართულ ფეხბურთს, უპატრონო ბავშვებსა და გაჭირვებულებს დაეხმარება. ეს ცალკე, ვრცლად სალაპარაკო თემაა და ჯობს ამაზე უფრო კონკრეტულად მერე ვისაუბროთ.

დავით ცაბაძე



დავით ცაბაძე

სიონი ღინაშოს: ვითანაგზროვლოთ

ბასულ უქმეებზე თბილისის „ღინაშოს“ და ბოლნისის „სიონის“ წარმომადგენლებს შორის საქმიანი შეხვედრა გაიმართა. საუბარი რამდენიმე საკითხს შეეხო.
„სიონი“ „ღინაშოს“ სთხოვს, დიღმის ბაზის მინდორი სავარჯიშოდ დაავითმეთ და სანაცვლოდ გაზაფხულზე ბოლნისის მოედანი გამოიყენეთ ამხანაგური მატჩებისთვის.
„სიონმა“ გამოთქვა ინიციატივა, „ღინაშოდან“ აიყვანოს ფეხბურთელები იჯარით ან „ღინაშოში“ გაასხვისოს თავისი ფეხბურთელები. ამაზე ბოლნისელებისთვის უთქვამთ, დუშან უპრინის ჩეხეთიდან ჩამოსვლამდე ვერაფერს გადავწყვეტით. მოკლედ „ღინაშო“ და „სიონი“ ჯერ მხოლოდ იმაზე შე-

თანხმდნენ, რომ მოლაპარაკებას გააგრძელებენ.
ხელისუფლების გადანაცვლებით 2008 წლიდან საბუჯეტო საფეხბურთო კლუბები აღარ უნდა არსებობდნენ. ფეხბურთის განვითარების საფეხბურთო პროგრამაში წერია, რომ გაისიდან რვა ფინანსურად მდგრადი გუნდი შეიქმნება, მაგრამ რა მოხდება 5 იანვარს? „სიონში“ გვითხრეს, რომ პოლიტიკურმა სიტუაციამ კლუბი გაურკვევლობაში ჩააგდო და „სიონმა“ ჯერ არ იცის ვინ იქნება მისი პატრონი.
კულუარებში ითქვა „სიონს“ კომპანია „ვისოლი“ შეიძენსო. ბოლნისურ კლუბში ამაზე მხოლოდ ის გვითხრეს, ასეთი ხმები ჩვენც გავიგეთო.

დავით თაყაიშვილი



პირველ რიგში ბოლნისელები ჩასემის გასხვისებას ეცდებიან

ბრძოლა ქართველ ფეხბურთელთა მომზადება არგენტინაში

ეღუაროდ დელგადო და მისი მწვრთნელი შტაბი აგრძელებს ქართველ ფეხბურთელთა მომზადებას არგენტინაში. ეღუაროდ დელგადო ინვესტს და მალაღ ღონეზე მოამზადებს 17-18 წლის პერსპექტიულ 2 მეკარეს, 5 მცველს და 4 ნახევარმცველს და 4 თავდამსხმელს არგენტინაში. მომზადების პროცესში ისინი ითამაშებენ ამხანაგურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში. ამას გარდა, არგენტინაში სტაჟირებაზე მყოფ ფეხბურთელთა ნაკრებს, კვირაში ერთხელ ექნებათ ამხანაგური შეხვედრები არგენტინის კლუბებიდან. სტაჟირების ვადა 6 თვიდან ერთ წლამდეა. სტაჟირების სრული კურსის დაძლევის შემდეგ ფეხბურთელები დელგადოს მიერ წარდგენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში, სადაც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს. სტაჟირების პროცესი ფასიანია. ასევე, ავიაბილეთების, ადგილზე ცხოვრების, კვების, არგენტინის ვიზისა და შიდა ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯები ვალდებული უნდა იქნას მსურველთა ან მათ სპონსორთა მიერ. დელგადოს მიერ მომზადებულ ფეხბურთელებს, რომლებიც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში, შეეძლება ითამაშონ და გააფორმონ კონტრაქტი ევროპის კლუბებთანაც, მაღალი ფინანსური პირობებით. ფეხბურთელები არგენტინაში გაემგზავრებიან 2008 წლის 15 იანვრიდან.
დაწვრილებითი ცნობებისთვის მსურველთა მიღება ინარმოებს მისამართზე: თბილისი, ლეონიძის ქ. 4 (თავისუფლების მოედანი, ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ). მსურველთა მიღებას ანარეკებს არგენტინის წარმომადგენელი საქართველოში, მიმდინარე წლის 24 დეკემბრიდან 10 იანვრამდე, ყოველდღე 13 საათიდან 15 საათამდე, კვირის გარდა. საკონტაქტო ტელეფონი: 899 23-55-20.

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგინებთ კომპანია ყაზბეგი

ინტერვიუ ზურაბ ხიზანიშვილთან

იხადი იხადის შეითავაზებას

პირდაპირ ეთერში მხოლოდ ტოპიოლერს ან ახალკაცს დაველაპარაკები



ზურაბ ხიზანიშვილმა შოტლანდიისთან ნაკრებს უკაპიტნა

ლეგენდარი

იხადი ისევ 23-ეა

მსოფლიო ფეხბურთის სტატისტიკისა და ისტორიის საერთაშორისო ფედერაცია ყოველთვიურად აჯამებს სხვადასხვა რეიტინგებს. ერთ-ერთი ნომინაცია მსოფლიოს საფეხბურთო ლიგების საუკეთესო ბომბარდირების მონაცემებს აჯამებს. ამ რეიტინგში ადგილს იზარჩუნებს სანდრო იაშვილი, რომელიც თბილისის "დინამოს" შემადგენლობაში გატანილი 21 გოლით, 23-ე ადგილზეა. ცნობისათვის, იაშვილი წინა თვის რეიტინგშიც 23-ე პოზიციას იკავებდა. სხვათა შორის, იგი ისეთ სახელგანთქმულ ფეხბურთელებს უსწრებს, როგორებიცაა რონალდინო, დიდი დროება და ფრედერიკ კანუტე არიან.

საუკეთესო ხაზიანი
აფრთხილავთ (გრაზილია, პარანა, სან-პაულუ)
ელდარო და სილა (სერბია, დინამო)
დებიტილია (სტრინგი, ნარა)
ცვატანგოვი (გულგარაი, ლუკოზოვიცის)
ირაალსილა (გრანილია, აინანდუ)

ლევან ჯანაშვილი



მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს საკმაოდ ძლიერი მეტოქეები არგუნა ნილისურამ. ჩვენს ჯგუფშია მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი ესპანეთი და ასევე ძლიერი ხორვატია. ჯგუფიდან კი მომდევნო რაუნდში მხოლოდ გამარჯვებული გადის. რაღა თქმა უნდა ფავორიტად ესპანეთი ითვლება, თანაც ჯგუფურ ეტაპს სწორედ ესპანეთი მასპინძლობს...

“ჯგუფის მეტოქეებად ძლიერი გუნდები გვყავს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს რომ ხელი ჩავიქნით და ესპანეთში მოვალეობის მოხდის მიზნით ვიასპარეზოთ. პირიქით, ჩვენ ორივე

ფუტბალი ესპანეთში ბოლომდე ვიბრძობებით

მატჩში ბოლომდე ვიბრძობებთ. მართალია ფავორიტი ტურნირის მასპინძელი ესპანეთია, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონს არ შევუზღინებთ. ბოლომდე ვიბრძობებთ და ვნახოთ რა გამოვა. ინგლისთან თბილისში ჩატარებულ ორ ამხანაგური შეხვედრა ჩვენს გუნდს ძალიან ნაადგა, უკეთ შეთამაშდა, არაერთი კომბინაცია დაეხვეწეთ... ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, რეიტინგში ავიწიეთ და მეტოქეებს ახლა უფრო მეტი რიდი ექნებათ ჩვენი”, - აღნიშნა ფუტბალში ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა პეტრე თაბუკაშვილმა.

დავით ცაბაძე

- პრემიერლიგის ბოლო ტურში „ბლექბერნმა“ „უიგანთან“ 3:5 ისე წააგო, სამატჩო განაცხადშიც არ ყოფილხარ...

- მარკ პიოუმას ასე გადაწყვიტა, მაგრამ იმედი მაქვს, უახლოეს ორ მატჩში მათამაშებს.

- რა არის ასეთი იმედის საფუძველი?

- „უიგანთან“ რომ წავაგეთ, პიოუმი დაცვის დიდ უკმაყოფილო დარჩა. ჩვენმა ერთ-ერთმა მცველმა ემერტონმა ნითელი ბარათი მიიღო და მომდევნო შეხვედრაში მიიღო და მომდევნო შეხვედრაში ვერ ითამაშებს. ვფიქრობ, „არსენალთან“ და „ჩელსისთან“ ვითამაშებ. „ჩელსისთან“ 23 დეკემბერს გვაქვს პრემიერლიგური მატჩი, მანამდე კი ასოციაციის თასზე „არსენალს“ გავეჯობებთ.

- ნაკრების სამწვრთნელო შტაბიდან ან ფეხბურთის ფედერაციიდან ხომ არ დაგაკავშირებია ვინმე?

- არა, ამ მხრივ ახალი არაფერია.

- ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა გოგი ქავთარაძემ „ლელოსთან“ საუბარში განაცხადა, პირველი ნაბიჯი ხიზანიშვილმა უნდა გადადგასო...

- მისი ასეთი განცხადება არ მომისმენია, თუმცა ამის შესახებ გავიგე. აღარ მინდა საგაზეთო ინტერვიუებში გაუთავებლად ვისაუბრო ამ საკითხზე. ტელეკომპანია „იმედმა“ შემომთავაზა, სატელეფონო ჩართვა კი არა, პირდაპირ ეთერში გამოდი და სატყველი თქვიო. პირდაპირ ეთერში საუბარზე თანახმა ვარ, თუ რა თქმა უნდა ეთერში ტომპილერი ან ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი იქნება. სხვასთან პოლემიკაში შესვლის სურვილი არ მაქვს. თუ ასეთი ტელეგადაცემა მოეწყობა, მთელი საქართველო კარგად გაიგებს, რაშია საქმე.

დავით თაყაიშვილი



სანდრო იაშვილი

თარიღი

ბრიგოლ ბაბუა. დაიბადა 17.12.-1915, ფოთი - 19.09.2002, ქობულეთი. ფეხბურთი, ნახევარმცველი. თამაშობდა თსუ-ში (1935) და თბილისის „დინამოში“ (1936-50). სსრკ უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 155 მატჩი (2 გოლი). სსრკ ჩემპიონატების მეორე (1939, 40) და მესამე (1936 შემოდგო-

მა, 46, 47) პრიზიორი. სსრკ თასის გათამაშების ორგზის ფინალისტი (1937, 46). იყო ზუგდიდის „დინამოს“ (1051-52) და თბილისის საფეხბურთო სკოლის - „ნორჩი დინამოელის“ მთავარი მწვრთნელი (1853-57, 1959-76). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.

CDN CAUCASUS DIGITAL NETWORK
ბიზნესობით სატელეკომუნიკაციო მომსახურების სტრუქტურა

CDN ინტ	ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN უფ	ტელეფონის დადგმა;
CDN მ-ბ	კავშირი ყველაგან და ყოველთვის;
GIGACARD	ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN	ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

განმავლობაში
24 საათის
• უწყვეტი მომსახურება
• გარანტირებული ხარისხი
• ტექნიკური მხარდაჭერა
• გადახდა ხაზიდან გაცვლილად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!


დავით ცაბაძე, მენეჯერი, ჩამართა!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგინოთ კომპანია ყაზბეგი



გიორგი ონიანი

ლეგიონერი

ქართული ლეგიონის წელიწადი დასრულდა

მხოლოდ ონიანი

შეივინა მეორე ბუნდესლიგამაც, სადაც ექვსი ქართველი ფეხბურთელი თამაშობს. პირველი წრე მესამე ადგილზე, ანუ ბუნდესლიგაში დაბრუნების ზონაში, დაასრულა „ფრაიბურგმა“ (30 ქულა), თუმცა შესაძლოა, გუნდი ქართველმა ოთარ ზიზანიშვილმა დატოვოს. მათე ლეონიანის „მიუნენიცი“ იბრძოლებს ბუნდესლიგის საგზურისთვის, გუნდი (28 ქულა) მეხუთე ადგილზეა. აი, ქართული ტრიოს „კარლ ცაისს“ და დავით სირაძის „პადერბორნს“ კი ძალიან უჭირთ. პირველი 13 ქულით ბოლოსწინაა, მეორე - 12 ქულით - ბოლო. სამწუხაროდ, ბოლო ტურში ექვსეულიდან მხოლოდ გიორგი ონიანმა ითამაშა. მან 90 წუთი გაატარა შინ „აუგსბურგთან“ 1:2 მარცხით დასრულებულ შეხვედრაში. ილია კანდელაკმა კი მთელი დრო სათადარიგოთა სკამზე გაატარა. გიორგი ონიანმა „შპორტალიანთან“ 3,5 ქულა დაიმსახურა.

დაველოდოთ
შედეგს ტურს

ზურაბ ხიზანიშვილს შემდეგ მატჩში ალბათ თამაშის კარგი შანსი ექნება, რადგან „ბლეიქერნის“ დაცვამ ამ ტურში ერთბაშად 5 გოლი გაუშვა, რასაც მარჯვენაფლანგელი ბრედ ემერტონის გაძევებაც დაერთო. „ბლეიქერნი“ 3:5 დამარცხდა „უიგანთან“, ზურა კი განაცხადშიც ვერ მოხვდა. ბევრი აღარ ამორებს მოედანზე დაბრუნებას შოთა არველაძეს, თუმცა „ლევანტე“ ჯერაც უქართველოდ გადის ფონს.

გაშიაშვილმა
იპირველა

ავსტრიაში კვლავ სამხელისუფლებიანობა - 37-37 ქულით „შტურმი“, „ზალცბურგი“ და „აუსტრია“ ლიდერობენ, ბურთების უკეთესი სხვაობის წყალობით პირველ ადგილზე კვლავ გი-

ორგი შაშიაშვილის გუნდია. „შტურმი“ ტურის ცენტრალურ მატჩში „ზალცბურგს“ უმასპინძლა და 1:1 დაუზავდა. ქართველმა მცველმა ტრადიციულად 90 წუთი ითამაშა. ავსტრიის ბუნდესლიგა თებერვალში განახლდება. წლეულს შაშიაშვილმა „შტურმის“ 23 მატჩიდან 22-ში ითამაშა, იმ ერთ შეხვედრაშიც გუნდი გადახალისებული შემადგენლობით გავიდა. როგორც ხედავთ, უკრაინაში დაწინებულმა ქართველმა ლეგიონერმა შესანიშნავად მოიკიდა ფეხი არცთუ სუსტ ავსტრიულ ლიგაში.

სანდრო უთამაშვლად
ნახეპარფინალშია

შეიცარიაში თასის ნახევარფინალში გავიდა სანდრო იაშვილის „თუნი“-შაბათს გუნდმა შინ 1:1 ითამაშა „ციურხთან“, შემდეგ კი დამატებით დროში შეძლო გამარჯვების გოლის გატანა ჩემპიონის კარში. ქართველი ფორვარდი განაცხადშიც არ ყოფილა. ამით შევიცარიაშიც ზამთრის პაუზა გამოცხადდა.

მოგება და
წაგება თასზე

კვიპროსში თასის ჯგუფური ეტაპის მორიგი მატჩები გაიმართა. A ჯგუფში ლევან მალრაძის „აპოლონმა“ შინ 2:0 დამარცხა „ნეა სალამინა“ და 4 ქულით ჯგუფს სათავეში ჩაიდგა. ჩვენებურს არ უთამაშია. ლევან ქებაძის „ეთნიკოსი“ კვლავ უქულოდაა, ამჯერად ახნასელები შინ 0:2 დამარცხდნენ „ომონიასთან“. ლევან ქებაძემ 90 წუთი ითამაშა. პარალელურად ჩემპიონატის მატჩებიც გაიმართა, სადაც თემურ ქეცბაიას „ანორთოსისი“ ლიდერობს. წლეულს კვიპროსელები ჩემპიონატში კიდევ ერთ ტურს მოახსენებენ.

ნიკოლოზ ნაზარაძე



ალექსანდრე იაშვილი

ამ უქმეებზე დასრულდა ქართული ლეგიონის წლევიანდელი ეპოპეა, ზამთრის შესვენება გამოცხადდა, გერმანიაში, ავსტრიაში და შვეიცარიაში. ჯერ კიდევ თამაშობენ კახა კალაძის, შოთა არველაძის და ზურაბ ხიზანიშვილის გუნდები, ასევე ერთი ტური დარჩა კვიპროსში პაუზის გამოცხადებამდეც.


პირველ გოლს
კოტა დააკლდა





ბუნდესლიგა 1 თებერვალს განახლდება, მანამდე ლევან კობიაშვილის „შალკეს“ 29 ქულით მეხუთე ადგილი უკავია, ხოლო ალექსანდრე იაშვილის „კარლსრუე“ 28 ქულით მეექვსეა. ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი „შალკესთვის“ ეს შედეგი ცალსახად წარუმატებლობაა, აი, ბუნდესლიგაში დაბრუნებული „კარლსრუე“ კი ყველა სასიამოვნოდ გააკვირვა. ლევან კობიაშვილი 28 სექტემბრის მერე პირველად მოხვდა მატჩის განაცხადში, თუმცა ტრავმამოშუშებული ქართველი ნახევარმცველი გუნდის მწვრთნელს „ნიურნბერგის“ დასამარცხებლად (2:1) არ დასჭირვებია. ალექსანდრე იაშვილი კვლავ სასტარტო შემადგენლობაში იყო უკანდახეული ფორვარდის პოზიციაზე, „კარლსრუე“ შინ 1:1 დაუზავდა ერთ-ერთ ლიდერ „ჰამბურგს“. მე-80 წუთზე მას დაჰინაღს თავის გამოჩენის კარგი შანსი უქონდათ, თუმცა კარიდან ხუთ მეტრში ვერც ერთი შენვედა ჩაწოდებულ ბურთს. მანამდე იაშვილმა სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ „ჰამბურგის“ მცველმა ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა. არადა ეს ალექსანდრე იაშვილის პირველი გოლი იქნებოდა წლევიანდელ ბუნდესლიგაში. ქართველი ფორვარდი 88-ე წუთზე შტაფელდტი შეცვალეს, ბოლო წუთზე კი „ჰამბურგის“ ფორვარდმა ივიცა ოლიჩმა მასპინძელთა კარში გოლი გაიტანა. „შპორტალიან“ იაშვილს 4,5 ქულა დაუნერა.



გიორგი შაშიაშვილი (მარჯვნივ)

უზბურთული	მაჩჩი	ანგ.	შენიშვნა	სტატ.
გერმანია				
ბუნდესლიგა. XVII ტური				
ლევან კობიაშვილი	შალკე-ნურნბერგი	2:1	სათადარიგო	4 თ. 1 გ.
ალექსანდრე იაშვილი	კარლსრუე-ჰამბურგი	1:1	88 წთ. (მცველს)	12 თ. 0 გ.
მეორე ბუნდესლიგა. XVII ტური				
ილია კანდელაკი	კარლ ცაისი-აუგსბურგი	1:2	სათადარიგო	9 თ. 0 გ.
გიორგი ონიანი	კარლ ცაისი-აუგსბურგი	1:2	90 წუთი	9 თ. 0 გ.
გიორგი ნათურაძე	კარლ ცაისი-აუგსბურგი	1:2	ტრავმა	0 თ. 0 გ.
ოთარ ხიზანიშვილი	ვენე-ფრაიბურგი	2:2	არ-უთამაშა	1 თ. 0 გ.
დავით სირაძე	გლადახი-პადერბორნი	1:1	ტრავმა	9 თ. 0 გ.
მათე ლეონიანი	მიუნენი-აუე	5:0	არ-უთამაშა	13 თ. 0 გ.
რეგიონალური. XVII ტური				
მიხეილ სავანა	ჰესენ-რომბლინგენი	3:3	არ-უთამაშა	5 თ. 0 გ.
ავსტრია				
პრემიერლიგა. XVI ტური				
ზურაბ ხიზანიშვილი	უიგანი-ბლეიქერნი	5:3	არ-უთამაშა	1 თ. 0 გ.
უკრაინა				
პრემიერ ლიგა. XVI ტური				
შოთა არველაძე	ესპანოლო-ლევანტი	1:0	ტრავმა	0 თ. 0 გ.
საქართველო				
სუპერლიგა. თასი				
სანდრო იაშვილი	თუნი-ციურიხი	1:1 (2:1)	არ-უთამაშა	15 თ. 1 გ.
კვიპროსი				
ბუნდესლიგა. XVIII ტური				
გიორგი გაშიაშვილი	შტურმი-ზალცბურგი	1:1	90 წუთი	22 თ. 0 გ.





ინტერვიუ ტიმ ლინთან

სამ კვირაში გადაწყდება

გახდება თუ არა ტიმ ლინი საქართველოს ნაკრობის მფრთხელი?

პირველი გვერდიდან

- როგორ ფიქრობთ, რამდენად სწრაფად შეიძლება მოხდეს ეს?

- ეს რამდენიმე ფაქტორზე დამოკიდებულია. ხვალ ისევ შინ, ავსტრალიაში მივდივარ. იქ ოჯახთან ერთად უნდა განვიხილო ეს საკითხი და მერე ორ-სამ კვირაში უკვე შესაძლებელი გახდება საბოლოო შეთანხმების მიღწევა. ამასთან, ბევრი რამ იქნება დამოკიდებული თქვენთან 5 იანვარს გასამართ არჩევნებზე. ენახოთ როგორ განვითარდება მოვლენები. იმედი მაქვს, რაც არ უნდა მოხდეს, ეს საქართველოში რაგბის განვითარებას ხელს არ შეუშლის.

რადგან ოჯახი ახსენებთ, იქნებ გვიამბოთ უფრო დანერგებით, თქვენსა და თქვენი ოჯახის შესახებ.

- ოჯახთან ერთად სიდნეიში ვცხოვრობ. მყავს მეუღლე და სამი შვილი. ორი ვაჟი 15 და 16 წლის, ქალიშვილი კი 18 წლისაა. პროფესიით ფიზიკულთურის პედაგოგი ვარ. პროფესიულ სამწვრთნელო ასპარეზზე 12 წელია ვმოღვაწეობ. ვთამაშობდი ქვიზლენდში, 10 და 12 ნომრის პოზიციაზე, სულ 43 შეხვედრა მაქვს ჩატარებული. სამწერ მითამაშია ავსტრალიის ნაკრობის შემადგენლობაში.


რამდენად კარგად იცნობთ საქართველოს ნაკრობის თამაშს?

- საქართველოს ნაკრობის თამაში ავსტრალიის მსოფლიო თასზეც მინახავს. საფრანგეთშიც, ცხადია, ვუყურებ ბორჯღალოსნებს. ძალიან კარგად იასპარეზეს. მათ აჩვენეს, რომ დიდი პოტენციალი გააჩნიათ. ამას გარდა, როცა „ტულონში“ ვმუშაობდი, ვილაპარაკე თან ხშირად გვისაუბრია, თქვენ ეროვნულ გუნდზე, მის სათამაო სტილზე.

და მაინც, როგორია ჩვენი გუნდის თამაშის სტილი?

- თქვენი ნაკრობის ყველაზე ძლიერი მხარე შერკინებაა. მთავარია, მათ მიერ მოპოვებული უპირატესობა, უკანახაზელებმა განავითარეს. შერკინებისა და უკანა ხაზის თამაში მაქსიმალურად კომბინირებული უნდა იყოს. რა თქმა უნდა, ის რაც დადებითი გაქვთ, არ უნდა დაიკარგოს, პირიქით კიდევ უფრო განვითარდეს.

რაც შეეხება ნაკრობის მოთამაშეთა ფიზიკურ კონდიციებს, მე არ მაქვს ხელთ მათი ტესტების შედეგები, მაგრამ, რადგან მათი უმრავლესობა საფრანგეთის ძლიერ კლუბებში ირიცხებიან და კვირაში ერთხელ სერიოზულ



ნაკრობის ამჟამინდელი მწვრთნელი მალხაზ ჭიჭიანი და ტიმ ლინი რაგბის კავშირში

ნუგზარ სუარიძის ფოტო

მატჩებში უნეშტ ბრძოლა, იმედი მაქვს, რომ კარგ ფორმაში იმყოფებიან.

თქვენს სამწვრთნელო ბიოგრაფიაში ავსტრალიისა და სამხრეთ აფრიკის მთავარი მწვრთნელის ასისტენტობაა, ასევე იყავით იტალიის ნაკრობის სამწვრთნელო შტაბში მუშაობა. თქვენთვის ყველაზე გამორჩეული რომელ ნაკრობთან მუშაობა იყო?

- ცხადია, ავსტრალიის ნაკრობთან მუშაობის პერიოდი მახსენდება ყველაზე სასიამოვნოდ. 1999 წელს ჩვენ ხომ მსოფლიოს თასი მოვიგეთ. ეს იყო უბედნიერესი დღეები, დაუჯერებელი მოვლენა. კარგი პერიოდი იყო იტალიის ნაკრობთან მუშაობის ხანაც. ამ ქვეყნის რაგბი ავსტრალიისგან განსხვავებულ დონეზეა და მსიამოვნებს,

რომ მის განვითარებაში მეც მიმიძღვის წვლილი.

თუ არის რაიმე მსგავსება ამჟამინდელ ქართულ რაგბსა და იმდროინდელ იტალიურს შორის?

- რა თქმა უნდა. დაახლოებით ათი წლის წინ იტალიაც ზუსტად იმ მდგომარეობაში იყო, როგორშიც დღეს საქართველოს რაგბის კავშირთან.

თავისუფალი ჭიდაობა

ორი იუბილე და ორი დღეობა

შაბათს ჭიდაობის ფედერაციაში ორი სახელოვანი ფალავანის იუბილე აღნიშნეს - მსოფლიო ჩემპიონი, ოლიმპიადის ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორი გიორგი სხირტლაძე 75 წლისა გახდა, მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი ოთარ კანდელაკი - ოთხმოცის. საიუბილეო საღამო ფედერაციის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა და მას მთელი საჭიდაო ელიტა დაესწრო. კარგა ხანია, მოჭიდავეთა საზოგადოება ასე ერთხულად შეკრებილი არ გვინახავს. ძველი მეგობრების მოსახალხურლებლად თუ იუბილარებისთვის მისალოცად დარბაზში თავისუფალი ჭიდაობის თითქმის ყველა მსოფლიო თუ ოლიმპიური ჩემპიონი მივიდა.


შეხვედრა საკმაოდ დიდხანსაც გაგრძელდა - მონატრებულ ფალავანებს ერთმანეთი დასაშორებლად არ ეთმობოდათ და ისინიც დაუზარებლად იგონებდნენ იუბილარობა საჭიდაო გზას. მოსაგონარი კი ნამდვილად ბევრი ჰქონდათ და ძველი ამბების გახსენებით ერთმანეთი თუ ახალი თაობის წარმომადგენლები გვირანადაც ასიამოვნეს. აღსანიშნავია, რომ თავადაც ჭარმაგ იუბილარებს მათზე რამდენიმე წლით უფროსებიც კი ულოცავდნენ.

შაბათს ოფიციალურად მხოლოდ ამათი იუბილე იზეიმეს, მაგრამ დარბაზში კიდევ აღმოჩნდნენ იუბილარები - ნაკრობის მწვრთნელი მარლენ ოსიყმაშვილი 78 წლისა გახდა, ჭიდაობის

ფედერაციის გენერალური მდივანი ომზარ შოშიტაშვილი - 68-ის. ცხადია, დამსწრეებმა მათაც მიულოცეს დაბადების დღე.

გუმინ დარბაზში კიდევ ერთი მისალოცი გაისმა - ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ ახალგაზრდა მსაჯ მალხაზ ჯორბენაძეს საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის წოდება მიანიჭა. ჯორბენაძე სულ რამდენიმე წლის წინ ნაიდა სპორტიდან და სულ მალე საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო რეფერი გახდა, ახლა კი საერთაშორისო ფედერაციაშიც დააფასა. სადღეისოდ იგი საქართველოში მართლაც ერთ-ერთი გამორჩეული მსაჯია.

ირაკლი თაყაიძე




ოთარ კანდელაკი



გიორგი სხირტლაძე

პარსკვლავური ნიჟილი

პარსკვლავური ნიჟილი



კრის ვერცერი

შბაბას, ლეგენდარულმა ამერიკელმა ჩოგბურთელმა კრის ვერცერმა...

სენსაცია

ავსტრალიის დიასპორით და დაიწყო


სენსაციური ინფორმაცია გაავრცელა ავსტრალიის ჩოგბურთის ფედერაციამ...

ავტოსპორტი

კურიოზი

ტაქსისტი შუიტი პოლიციას დაინგაჩანდა

ჩ306 უკვე ვერდით იმ კურიოზის შესახებ, რომელიც ლეგენდარულ მიხაელ შუმახერს ბავარიაში შეემთხვა.



მიხაელ შუმახერი

გებული, მას შვიდჯერ საფრანგეთის ლიპ პირველობაზე გაუმარჯვია და ასეთი ცნობილი ჩოგბურთელი რომ საყვარელი ადამიანზე დაქორწინდეს, ამაში ვასაკერი წესით არაფერი არ უნდა იყოს.

ინტერესს არა სპორტსმენების ქორწილი, არამედ მათი მოსალოდნელი გაყრა ინვესტ. ზოგიერთმა საბუქმეიქერო კანტორამ უკვე დაიწყო ამაზე ფსონების მიღება.

20 წლის წინ, მან მცირე ხნით დაუკავშირა ცხოვრება ცნობილ ამერიკულ ჩოგბურთელ ვიმი კონორსს.

2006 წლის დეკემბერში ეს წყვილიც დაიშალა. პრინციპში, 53 წლის მილს გამოშვართა - მან კომპენსაციის სახით 6 მილიონი ფუნტი მიიღო.

რობოტი

ავსტრალიის დიასპორით და დაიწყო

სენსაციური ინფორმაცია გაავრცელა ავსტრალიის ჩოგბურთის ფედერაციამ...

ავტოსპორტი

კურიოზი

ტაქსისტი შუიტი პოლიციას დაინგაჩანდა

ჩ306 უკვე ვერდით იმ კურიოზის შესახებ, რომელიც ლეგენდარულ მიხაელ შუმახერს ბავარიაში შეემთხვა.



მიხაელ შუმახერი

14 დეკემბერი 93:104

წინააღმდეგობა 99:19

გოსპონი-ბილუაი 104:82

მინაგრა-სიატლი 88:99

მარტოვი-ოკლაინი 87:103

დუბრა-პლაზა 91:81

ნიუ ჯარსი-კლივლენდი 105:97

303კი

14 დეკემბერი 3:5

კაროლინა-კალაბაი 3:4

აბლანგა-ბრონკო 0:4

ანაპოლი-მინესოტა 2:5

15 დეკემბერი 2:0

ნიუ ჯარსი-ფინიქსი 1:4

არქივი

ავტოსპორტი

ავტოსპორტი

მეიმისი-კლივლენდი 91:98

გოლ. სპ. ლიუიზიანი 108:106

პორტლენდი-ინდიანა 99:91

დალასი-ნიუ ორლანდი 89:80

სან ანტონიო-დენვერი 102:91

აბლანგა-შარლოტ 93:84

ვაშინგტონი-საკრამენტო 92:79

NHL რეზულტები

ბუფალო-ჩიკაგო 3:1

მონტრეალ-კვინსტონი 4:1

ოტავა-ანაჰაიმი 7:3

ნიუ ჯარსი-პიტსბურგი 2:3

ჟოკატონი-კაროლინა 5:6 (ბ)

ნიუ ჯარსი-ფინიქსი 1:2

არქივი

ავტოსპორტი

ავტოსპორტი

კლივლენდი-მინესოტა 91:83

ორლანდი-მინესოტა 119:123

ნიუ ორკი-ნიუ ჯარსი 94:86

მაინი-ინდიანა 103:106

ნიუ ორლანდი-ფინიქსი 101:98

პორტლენდი-დალასი 83:96

მიჩიგანი-მინესოტა 95:92

ნიუ ჯარსი-ნიუ ჯარსი 95:76

NHL რეზულტები

დაკოტა-ვინიპეგა 5:2

ბაფალო-ჩიკაგო 2:3

სან ხოსე-დალასი 2:4

კოლუმბია-ნიუ ჯარსი 3:1

ვაშინგტონი-პიტსბურგი 2:1 (ბ)

ლოს ანჯელესი-მინესოტა 1:2

არქივი

ავტოსპორტი

ავტოსპორტი

